# შუალედური (1) წერის/გამოცდის საკითხები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებში

საგნის ხელმძღვანელი: პროფ. მაია კოპალეიშვილი

გამოყოფილი დრო: 2 სთ

*საკითხები მოვა ვარიანტების მიხედვით. სტუდენტი ვალდებულია შემოთავაზებული რამდენიმე საკითხიდან საკუთარი არჩევანით*

*დაწეროს რომელიმე ორი საკითხი. რადგან საკითხები სხვადასხვა სირთულისაა, შეფასებისას გათვალისწინებული იქნება შერჩეული და დაწერილი საკითხის სირთულე და რამდენად სრულად პასუხობს ტექსტი საკითხს.*

*შუალედური წერა/გამოცდა ფასდება 30 ქულის ფარგლებში, შესაბამისად, თითოეული საკითხი შეფასდება 15-15 ქულის ფარგლებში.*

1. ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ამოცანები. საქართველოს კანონმდებლობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა შესახებ. ადმინისტრაციულ სამართალდარვევათა თავიდან აცილება, კანონიერების უზრუნველყოფა, ადმინისტრაციული სამართალდაღვევებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ კანონმდებლობის მოქმედება **(თავი 1).**

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ცნება. ასაკი. განზრახ და გაუფრთხილებლობით ჩადენა. უკიდურესი აუცილებლობა და აუცილებელი მოგერიება. შეურაცხადობა. თანამდებობის პირთა, სამხედრო მოსამსახურეთა, უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა პასუხისმგებლობა. მცირემნიშვნელოვანი სამართალდარღვევა **(თავი 2).**

3. ადმინისტრაციული სახდელი, მიზნები, სახეები (განმარტეთ თითოეული). ძირითადი და დამატებითი სახდელები **(თავი 3).**

4. ადმინისტრაციული სახდელის დადება, ზოგადი წესი. შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი, პასუხისმგებლობა რამდენიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის. სახდელის ვადების გამოანგარიშება. ვადა, რომლის გასვლის შემდეგ პირი ითვლება სახდელდაუდებლად. მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და წესი **(თავი 4).**

**5.** ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმეების განსახილველად უფლებამოსილი ორგანოები (თანამდებობის პირები), კომპეტენციის გამიჯვნა. თანამდებობის პირთა უფლებამოსილება **(თავი 15.)**

**6.** ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმეების ამოცანები, წესი. გარემოებანი, რომლებიც გამორიცხავენ ადმინისტრაციული სამართალდრღვევის საქმის წარმოებას. ადმინისტრაციული სამართალდაღვევის საქმის ადგილზე განხილვა. მტკიცებულებანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე, მათი შეფასება **(თავი 17).**

7. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შინაარსი. ოქმის გაგზავნა. შემთხვევები, როდესაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი არ შედგება. დამრღვევის მიყვანა **(თავი 18).**